PUBLICA * HELIAE * UNIVERSITAS *

LIGAMUS

ერიკ ჰობსბაუმი

ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან

პროგრამა, მითი, რეალობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2012

E. J. Hobsbawm
Nations and Nationalism since 1780: Programme, Myth, Reality

PRESS SYNDICATE OF THE UNIVERSITY OF CAMBRIDGE
First Published 1990

Copyright © E. J. Hobsbawm 1990

ერიკ ჰობსბაუმი
ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან
პროგრამა, მითი, რეალობა

მთარგმნელი: სანდრო გაბისონია

რედაქტორები: ლიანა გოგიჩაიშვილი
ნატალია ვაჩეიშვილი
ირმა რევიშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: თინათინ კვირკველია

© 2012 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-077-4

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

შესავალი 7

I თავი 23

ერი, როგორც სიახლე: რევოლუციიდან ლიბერალიზმამდე 23

II თავი 64

სახალხო, პირველადი ნაციონალიზმი 64

III თავი 109

ნაციონალიზმი მმართველი ფენის პერსპექტივით 109

IV თავი 138

ნაციონალიზმის ტრანსფორმაცია 1870-1918 138

V თავი 180

ნაციონალიზმის აპოგეა 1918-1950 180

VI თავი 223

ნაციონალიზმი გვიანდელ მეოცე საუკუნეში 223

შესავალი

წარმოიდგინეთ, რომ ერთხელაც, ატომური ომის შემდეგ, ჩვენს მკვდარ პლანეტაზე უცხოპლანეტელი ისტორიკოსი ჩამოფრინდა, იმ შორეული, მცირე კატასტროფის მიზეზების გამოსაძიებლად, რომლებიც მისი გალაქტიკის სენსორებმა დააფიქსირეს. იგი ინფორმაციის მოსაძიებლად, პირველ ყოვლისა, მიაკითხავდა დედამიწის ბიბლიოთეკებს და არქივებს, რომლებიც იმიტომ გადარჩნენ, რომ ატომური იარაღი მხოლოდ ადამიანებისთვის იყო საზიანო და არა ნივთებისთვის. დამკვირვებელი მცირე გამოძიების შემდეგ დაასკვნიდა, რომ კაცობრიობის ისტორიის ბოლო ორი საუკუნე გაუგებარი დარჩებოდა, თუ რაიმენაირად არ განისაზღვრებოდა „ერის“ მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე ცნებები. ეს ტერმინი გამოხატავს რაღაც ისეთს, რასაც ადამიანთათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, კონკრეტულად, რას? აქ იმალება საიდუმლო. უცხოპლანეტელი სტუმარი აუცილებლად წაიკითხავდა ვალტერ ბეიგჰოტს, რომელიც XIX საუკუნის ისტორიას „ერების მშენებლობის“ ეპოქად მიიჩნევს, მაგრამ გამოთქვამს საღ აზრს, რაც მას ჩვეულებრივ ახასიათებს და დასძენს: „რა არის ეს (ერი) ჩვენ ვიცით მხოლოდ იქამდე, სანამ ამის შესახებ რამეს გვკითხავენ. ჩვენ ვერ ვიძლევით სწრაფ და ამომწურავ პასუხს კითხვაზე რა არის ერი.“[1] ეს გასაგებია ბეიგჰოტისთვის და ჩვენთვის, მაგრამ არა უცხოპლანეტელი მკვლევრისათვის, რომელსაც აკლია ის ადამიანური გამოცდილება, რომელიც ამყარებს და დამაჯერებელს ხდის „ერის“ იდეას.

ვფიქრობ, რომ დღესდღეობით, ბოლო 15-20 წლის განმავლობაში გამოცემული ლიტერატურა საშუალებას იძლევა, ასეთ ისტორიკოსს წიგნების მოკლე ნუსხა შევთავაზოთ, რომელიც მას კვლევის გაღრმავებაში დაეხმარება. ამ ნუსხას დანართად დაემატება ენტონი სმითის “Nationalism: A Trend Report and Bibliog-

1. Walter Bagehot, *Physics and Politics* (ლონდონი, 1887 წ.), გვ. 20-21.

raphy" (1973),[2] რომელიც ამ დრომდე (1973 წლამდე) თემასთან დაკავშირებულ განაზრებათა უმეტესობას შეიცავს. სიაში ძალზე ცოტა ტექსტი იქნებოდა მე-19 საუკუნის კლასიკური ლიბერალიზმის პერიოდიდან, რისი მიზეზებიც მოგვიანებით გაირკვევა, მაგრამ ეს აიხსნება იმითაც, რომ მაშინდელი ტექსტები ნაციონალისტური და რასისტული რიტორიკით არის გაჯერებული. საუკეთესო, რაც კი ამ პერიოდში დაწერილა, არის ამ თემატიკასთან დაკავშირებული პასაჟები ჯონ სტიუარტ მილის ნაშრომში "Considerations on Representative Government" და ერნესტ რენანის ცნობილი ესე „რა არის ერი?"[3]

საკითხავ სიაში შევიდოდა ზოგი ისტორიულად აუცილებელი, ზოგიც არასავალდებულო ტექსტი თემის რაციონალური გაანალიზების პირველი აღსანიშნავი მცდელობებიდან: მეორე ინტერნაციონალის მარქსისტების მნიშვნელოვანი და დაუფასებელი დებატებიდან „ნაციონალურობის საკითხის" შესახებ. მოგვიანებით ვნახავთ, თუ რატომ დაინტერესდნენ ამ პრობლემატიკით საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლები, მათ შორის ისეთი დიდი მოაზროვნეები, როგორებიც არიან: კაუცკი და ლუქსემბურგი, ოტო ბაუერი და ლენინი.[4] სიაში, ალბათ, შევიდოდა კაუცკის რამდენიმე ნაშრომი

---

2. A.D. Smith, "Nationalism: A Trend Report and Bibliography" იხ. *Current Sociology* XXI/3, ჰააგა და პარიზი, 1973 წ. აგრეთვე იხ. იგივე ავტორის ბიბლიოგრაფიები ნაშრომებში *Theories of Nationalism* (ლონდონი, მეორე გამოცემა, 1983 წ.) და *The Ethnic Origins of Nations* (ოქსფორდი, 1986 წ.). ინგლისურენოვანი მკითხველებისთვის პროფესორ ენტონი სმითის ტექსტები დღეს მთავარი სახელმძღვანელოა.

3. Ernest Renan, *Qu'est ce que c'est une nation?* (პარიზი, 1882 წ.); John Stuart Mill, *Considerations on Representative Government* (ლონდონი, 1861 წ.) XVI თავი.

4. კარგი შესავლისთვის გამოსადეგია იმ დროის, ძირითად, მარქსისტ ავტორთა ტექსტების კრებული, Georges Haupt, Michel Lowy და Claudie Weill, *Les Marxistes et la question nationale 1848-1914* (პარიზი, 1974 წ.). Otto Bauer, *Die Nationalitätenfrage und die Sozialdemokratie* (ვენა, 1907 წ. 1924 წლის მეორე გამოცემაში შესულია მნიშვნელოვანი ახალი შესავალი). Horace B. Davis, *Toward a Marxist Theory of Nationalism* (ნიუ-იორკი, 1978 წ.).

და აუცილებლად ოტო ბაუერის "Die Nationalitätsfrage", ასევე სტალინის "Marxism and the National and Colonial Question", არა იმდენად მისი მეცნიერული ღირებულებისთვის, რამდენადაც მისი გვიანდელი პოლიტიკური გავლენის გათვალისწინებით.[5]

წასაკითხი წიგნების რიცხვში არ შევიტანდი პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის, ნაციონალიზმის აკადემიური სწავლების ე. წ. „ტყუპი დამფუძნებელი მამის" კარლტონ ბ. ჰეისისა და ჰანს კონის შრომებს.[6] სრულიად ბუნებრივი იყო ის, რომ ნაციონალიზმის საკითხმა სწორედ იმ პერიოდში მიიპყრო ყურადღება, როდესაც ევროპის რუკა პირველად და ჯერჯერობით, უკანასკნელად, გადაკეთდა ნაციონალიზმის პრინციპების მიხედვით და როდესაც მესამე სამყაროში ანტიკოლონიური განმათავისუფლებელი მოძრაობები ევროპული ნაციონალიზმის რიტორიკით გაიჟღინთა. ამ მოვლენებს ჰანს კონმა დიდი ყურადღება დაუთმო.[7] აგრეთვე ეჭვგარეშეა, რომ ამ პერიოდის ნაშრომები საკმაო მასალას შეიცავენ ადრინდელი ლიტერატურიდან, რამაც მკითხველში პირველადი ტექსტების წაკითხვის სურვილი უნდა გააჩინოს. ნაციონალიზმის შესახებ დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურის მოძველების მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ დღევანდელობის მთავარ ინოვაციაში, რომელიც, სრულიად შემთხვევით, მარქსისტებმა განჭვრიტეს, და დღეს – ნაციონალისტების გამოკლებით – საყოველთაოდ

---

5. ტექსტი გამოიცა 1913 წელს სტალინის უფრო გვიანდელ ნაშრომებთან ერთად გამოცემაში *Marxism and the National and Colonial Question* (ლონდონი, 1936 წ.), რომელსაც უდიდესი საერთაშორისო გავლენა ჰქონდა არა მხოლოდ კომუნისტებში, არამედ განსაკუთრებით მესამე მსოფლიოში.

6. Carleton B. Hayes, *The Historical Evolution of Modern Nationalism* (ნიუ-იორკი, 1931 წ.) და Hans Kohn, *The Idea of Nationalism. A Study in its Origin and Background* (ნიუ-იორკი, 1944 წ.) შეიცავენ ღირებულ ისტორიულ მასალას. ცნება „დამფუძნებელი მამები" მომდინარეობს ფილოლოგიური და კონცეპტუალური ისტორიის შესანიშნავი კვლევიდან, A. Kemiläinen, *Nationalism. Problems Concerning the World, the Concept and Classification* (Jyväskylä, 1964 წ.).

7. იხ. *History of Nationalism in the East* (ლონდონი, 1929 წ.); *Nationalism and Imperialism in the Hither East* (ნიუ-იორკი, 1932 წ.).

არის აღიარებული. ერები, როგორც დღეს ვიცით, — არა ჰეისის და კონის მცდელობებიდან გამომდინარე — ბეიგჰოტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სულაც არ არიან ისეთივე ძველი, როგორც თვით ისტორია."[8] სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობა XVIII საუკუნეში წარმოიშვა. მომდევნო ათწლეულებში ლიტერატურა ნაციონალიზმის შესახებ საკმაოდ მომრავლდა, მაგრამ ხარისხობრივად წინ არ წაწეულა. ალბათ ვინმე მნიშვნელოვნად მიიჩნევს კარლ დოიჩის ნაშრომს, რომელიც ერების ფორმირებაში კომუნიკაციის როლს უსვამს ხაზს, მაგრამ მე მის ტექსტებს სავალდებულო წასაკითხ წიგნთა რიცხვს არ მივაკუთვნებდი.[9]

ის, თუ რატომ გავრცელდა სამეცნიერო ლიტერატურა ერების და ნაციონალიზმის შესახებ ასე ფართოდ დაახლოებით ოცი წლის წინათ, ბოლომდე გარკვეული არ არის. ეს შეკითხვა უფრო აქტუალურია იმათთვის, ვინც ამ ვარაუდს ემხრობა, რომელიც, თავის მხრივ, უნივერსალურად დამკვიდრებული თვალთახედვა არ არის. ეს პრობლემა დეტალურად არა, მაგრამ გარკვეულწილად განხილული იქნება წიგნის ბოლო თავში. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, იმ ნაშრომთა რიცხვი, რომლებიც თავიანთ ანალიზს გვთავაზობენ იმის შესახებ, თუ რა არის ერი და ნაციონალური მოძრაობები და რა როლს ასრულებენ ისინი ისტორიული განვითარების პროცესში, 1968-1988 წლებში გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერი ადრინდელი, ორჯერ უფრო ხანგრძლივი დროის მონაკვეთში. წინამდებარე ტექსტში გაირკვევა, თუ კონკრეტულად რომლებს მივიჩნევ მე განსაკუთრებით საინტერესოდ, მაგრამ სასურველია, აქვე დავასახელო რამდენიმე მნიშვნელოვანი სათაური, რომლებსაც (თითქმის უკლებლივ) ვეყრდნობი ჩემს წინამდებარე და სხვა ნაშრომებშიც.[10] ეს ჩამონათვალი შეიძლება გამოდგეს, როგორც ერთგვარი შესავალი საკვლევ სფეროში. იგი ავტორთა გვარების ანბანური თან-

---

8. Walter Bagehot, *Physics and Politics* (ლონდონი, 1887 წ.), გვ. 83.

9. Karl W. Deutsch, *Nationalism and Social Communication. An Enquiry into the Foundations of Nationality* (კემბრიჯი, MA 1953 წ.).

10. დანარჩენებია: *The Age of Revolution 1789-1848* (1962 წ.), *The Age of Capital 1848-1875* (1975 წ.), *The Age of Empire 1875-1914* (1987 წ.).

მიმდევრობით არის დალაგებული, გარდა მიროსლავ ჰროშის წიგნისა, რომელმაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების სტრუქტურის ახსნა-განმარტების სრულიად ახალ ერას დაუდო სათავე.

Hroch, Miroslav. Social Preconditions of National Revival in Europe (კემბრიჯი, 1985 წ.);

Anderson, Benedict. Imagined Communities (ლონდონი, 1983 წ.);

Armstrong, J. Nations before Nationalism (ჩაპელ ჰილი, 1982 წ.);

Breuilly, J. Nationalism and the State (მანჩესტერი, 1982 წ.);

John W. Cole and Eric R. Wolf. The Hidden Frontier: Ecology and Ethnicity in an Alpine Valley (ნიუ-იორკი და ლონდონი, 1974 წ.);

J. Fishmann (რედ.) Language Problems of Developing Countries (ნიუ-იორკი 1968 წ);

Ernest Gellner. Nations and Nationalism (ოქსფორდი, 1983 წ.);

Hobsbawm, E. J. and Ranger, Terence (რედ.) The Invention of Tradition (კემბრიჯი, 1983 წ.);

Smith, A. D. Theories of Nationalism (მეორე გამოც. ლონდონი, 1983 წ.);

Szucs, Jeno. Nation und Geschichte: Studien (ბუდაპეშტი, 1981 წ.);

Tilly, C. (რედ.) The Formation of National States in Western Europe (პრინსტონი, 1975 წ.).

ამ ჩამონათვალს შეუძლებელია, არ დავუმატო გუინ ა. უილიამსის ბრწყინვალე ესე "When was Wales?" ამავე ავტორის წიგნიდან "The Welsh in their History" (ლონდონი და კანბერა, 1982 წ.), რომელიც დაწერილია კონკრეტულ „ერთან" სუბიექტური იდენტიფიკაციის ფონზე, და მიუხედავად ამისა, უაღრესად ზუსტადაა გაგებული ისტორიული კონტექსტი და ცვალებადობა.

ამ ლიტერატურის უმეტესობის კვლევის საგანია ერთი საკითხი – რა არის ერი? ადამიანთა ჯგუფის ამგვარი კლასიფიკაციის მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ მისი წევრების მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, სოციალური არსებობის ან თვით მისი წევრების ინდივიდუალური იდენტიფიკაციის ეს პირველადი და ფუნდამენტური ფორმა არ იძლევა დამაკმაყოფილებელ კრიტერიუმებს იმის დასადგენად, რომელს შეიძლება ეწოდოს ერი ადამიანთა მრავალგვარი ერთობებიდან და რო-

მელს – არა. ეს არც არის გასაკვირი, თუ „ერს“ მივიჩნევთ ისტორიულად ახალ მოვლენად, კონკრეტული ლოკალური ან რეგიონალური ისტორიული გარემოებების პროდუქტად, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაცია თავდაპირველად ერთად დასახლებული ადამიანების ერთობა იქნებოდა და არა მთელ მსოფლიოში მიმოფანტული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ გარეშე დამკვირვებელს ვერაფრით ვერ ავუხსნით, თუ რა ნიშნებით უნდა განვასხვავოთ a priori ერი ადამიანთა სხვა ერთობებისგან, როგორც ავუხსნიდით, მაგალითად, როგორ უნდა ამოიცნოს ფრინველი, ან რითი გამოარჩიოს ერთმანეთისგან თაგვი და ხვლიკი. ნაციებზე დაკვირვება მარტივი იქნებოდა, ფრინველებზე დაკვირვებას რომ ჰგავდეს.

მცდელობები ნაციონალურობის ობიექტური კრიტერიუმების გამოსავლენად ან ასახსნელად, თუ რატომ არიან ადამიანთა გარკვეული ჯგუფები ერები და სხვები არა, ჩვეულებრივ ეფუძნება ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა ენა და ეთნიკურობა, ან ისეთი კრიტერიუმების კომბინაციებს, როგორიცაა ენა, საერთო ტერიტორია, საერთო ისტორია, კულტურული მახასიათებლები და ა. შ. ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, მაგრამ არა ერთადერთი, არის სტალინის დეფინიცია.[11] ყველა ამგვარი ობიექტური დეფინიცია მერყევია იმ ერთი აშკარა მიზეზის გამო, რომ მრავალრიცხოვანი ერთობებიდან მხოლოდ რამდენიმე თუ შეძლებს მოერგოს ამგვარ დეფინიციას და აღიწეროს როგორც „ერი“, გამონაკლისების პოვნა ყოველთვის შესაძლებელია. არსებობენ როგორც ადამიანთა ისეთი ერთობები, რომლებიც ობიექტური დეფინიციის ყველა ჩამოთვლილ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ, მაგრამ მაინც არ არიან (ან ჯერ არ არიან) ერები ან ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული და ასევე არიან ისეთი ნამდვილი „ერები“, რომლებიც სულაც არ ერთიანდებიან ამ კრიტერიუმებით და მათი კომბინაციებით. სხვაგვარად უშე-

11. „ნაცია არის ისტორიულად წარმოქმნილი, საერთო ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრების და ფსიქოლოგიის მქონე სტაბილური ერთობა, რომელიც კულტურულ ერთობაშია მანიფესტირებული.“ Joseph Stalin, *Marxism and the National and Colonial Question*, გვ. 8. ორიგინალი დაიწერა 1912 წ.